UDC 338.1
SCOPUS CODE 1401
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-1-52-68

თაობების თეორია, როგორც ინსტრუმენტი და Z თაობის სწავლების თავისებურებები უნივერსიტეტში

მერაბ მიქელაშვილი ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: m.mikelashvili@gtu.ge

რეცენზენტები:

ლ. კოჭლამაზაშვილი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: l.kochlamazashvili@gtu.ge

ნ. ჩიკვილაძე, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: n.chikviladze@gtu.ge

ანოტაცია. სტუდენტების ახალი თაობა განსხვავდება წინა თაობებისგან – ადრე სტუდენტებს არასდროს ჰქონიათ სარგებლობაში ისეთი ფართო მონაცემთა ბაზა, როგორიც ინტერნეტია. გლობალური ქსელის გავლენა ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტში ვლინდება და, რა თქმა უნდა, უმაღლესი განათლების სისტემისათვის შეუძლებელია ამ ფაქტის იგნორირება. სწავლება უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის შემეცნებითი საქმიანობის ფსიქოლოგიურ კანონებს. ჰავაის უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევები, რომლის მიზანი სტუდენტებისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებაა, აჩვენებს, რომ სწავლების მეთოდების შეცვლა აუცილებელია, რათა შეესაბამებოდეს სწავლების ახალი სუბიექტების, განსაკუთრებით Z თაობის ღირებულებებსა და სწავლების სტილს. სწავლების მეთოდები, მისი შინაარსი და მიზნები უნდა იყოს რელევანტური და მიმზიდველი ახალი თაობისთვის, თუ უმაღლესი სასწავლო დაწესებულება უპირატესობას ანიჭებს მათთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებას. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ Z თაობის წარმომადგენლებს საკუთარი თავისებურებები, ღირებულებები და მიზნები აქვთ.

ამრიგად, ახალი თაობის წარმომადგენელთა სპეციფიკის შესწავლით შესაძლებელია სწავლების ტრადიციული მეთოდები უფრო ეფექტური გახდეს. განათლების სისტემის რეფორმირებით, ახალი თაობის აღზრდისა და სოციალიზაციის სისტემის ეფექტურობის გაზრდით და გაუმჯობესებით აუცილებელია თანამედროვე სტუდენტის, როგორც Z თაობის წარმომადგენლის მახასიათებლების ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: თაობების თეორია; Z თაობა; Z თაობის აზროვნების თავისებურებები; კლიპური აზროვნება; საგანმანათლებლო პროცესი; ციფრული თაობა; ციფრული უნარები და კომპეტენციები.

შესავალი

ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთის ანტიკურ ლიტერატურაში გვხვდებოდა იმდროინდელი დრამატურგებისა და ფილოსოფოსების გამონათქვამები იმის შესახებ, რომ ახალგაზრდებს არაფერი ესმით, ზარმაცები და უინტერესონი არიან. მაგალითად, ხშირად გვხვდება ციტატა, რომელსაც სოკრატეს მიაწერენ: „ამჟამინდელი ახალგაზრდობა მიჩვეულია ფუფუნებას, გამოირჩევა ცუდი მანერებით, უგულებელყოფს ავტორიტეტებს, პატივს არ სცემს უფროსებს, ბავშვები კამათობენ უფროსებთან, სწრაფად ყლაპავენ საკვებს, მასწავლებლებს ავიწროებენ“ [1].

90 წლის წინ კ. მანჰეიმი ამტკიცებდა, რომ 1800 წელს დაბადებული პრუსიელი ახალგაზრდობა არ არის იგივე თაობა, როგორც იმავე პერიოდში დაბადებული ჩინელი ახალგაზრდობა, ხოლო სოფლად მცხოვრები ახალგაზრდობა, რომელიც თანამედროვე ინოვაციებს არ იცნობს, სინამდვილეში არ არის იგივე თაობა, როგორც ქალაქში მცხოვრები ურბანული ახალგაზრდობა.

ორ (მამები და შვილები) და სამ სხვადასხვა თაობას (ბაბუები, მამები, შვილიშვილები) შორის ურთიერთგაგების პრობლემები დიდი ხანია აღწერილია როგორც მსოფლიო, ისე ეროვნულ ლიტერატურაში, მაგრამ მიმდინარე ეტაპზე, გლობალიზაციის ფენომენისა და არნახული ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში, უფრო მწვავე გახდა ურთიერთგაგებისა და გამოცდილების მომავალ თაობაზე გადაცემის პრობლემები.

თანამედროვე განათლება კრიზისშია, რადგან პედაგოგებსა და სტუდენტებს შორის გაუცხოება იზრდება. ბევრი მკვლევრის აზრით, უფსკრული სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს შორის აქამდე არასდროს ყოფილა ასეთი ღრმა, რადგან თითოეული მათგანი დაიბადა და გაიზარდა რადიკალურად განსხვავებულ პირობებში [2]. პედაგოგს არა მხოლოდ არ ესმის ტექნიკური სიახლეები და ვერ იყენებს მათ ისე ეფექტურად, როგორც მისი მოსწავლე, არამედ არ ესმის მომავალი თაობის ღირებულებები, არ შეუძლია იყოს ავტორიტეტის წყარო როგორც პედაგოგიური, ისე ცხოვრებისეული თვალსაზრისით. დღეისათვის პედაგოგები უფრო მეტად აცნობიერებენ ამ პრობლემას, ვიდრე ოდესმე: „მსოფლიოში ყოველწლიურად ათეულობით კონფერენციები იმართება, სადაც აქტიურად ვითარდება იდეა, რომ არ შეიძლება ერთნაირად ასწავლო ადამიანებს, რომლებიც სხვადასხვა დროში დაიბადნენ“ [3].

ამავე დროს, უნდა გვესმოდეს, რომ პრინციპული განსხვავება ფასეულობებს, ცხოვრებისეულ მიზნებს, სოციალურ ურთიერთობებს, ინფორმაციის მოხმარებას შორის არ არის რაღაც უარყოფითი, ეს უფრო ბუნებრივი პროცესია.

ძირითადი ნაწილი

„თაობათა თეორიის“ მომხრეთა აზრით, თაობა არის გარკვეულ ასაკობრივ პერიოდში დაბადებული ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც განიცდიან ერთი და იგივე მოვლენების, აღზრდის თავისებურებე-

ბისა და მსგავსი ღირებულებების გავლენას. ამ თეორიის თანახმად, თაობები ერთმანეთისგან განსხვავდებიან არა მხოლოდ ასაკით, არამედ ბავშვობაში ჩამოყალიბებული ძირითადი ღირებულებებითაც. ეს საბაზო ღირებულებები შედგება ორი ძირითადი პარამეტრისგან. პირველი პარამეტრი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მოვლენებია, რომლებიც მსოფლიოში მათი ზრდასრულობის პერიოდში ხდება (12–14 წლის ასაკში) და, შესაბამისად, აღიქმება, როგორც „ნორმა“. მეორე არის აღზრდის ის სტანდარტები, რომლებსაც ბავშვს ოჯახი უნერგავს. თაობათა გზაჯვარედინის ადგილზე დაბადებული ადამიანები (+/– 3 წელი თაობათა შორის საზღვრიდან) ე.წ. გარდამავალი ანუ ექო-თაობაა. მათ აქვთ ორივე თაობის მახასიათებლები.

ამჟამად, ექვსი თაობის წარმომადგენლები ცხოვრობენ და მუშაობენ საქართველოში: მდუმარე თაობა (დაბადებული 1928–1945), ბეიბი ბუმერები (დაბადებული 1946–1965), თაობა X (დაბადებული 1965–1980), მილენიალები ანუ თაობა Y (დაბადებული 1981–1996), თაობა Z (1997-2012 ზუმერები) და თაობა ალფა (2010-2024).

ჩვენს წინაშეა 21-ე საუკუნის პირველი მეოთხედის მოზარდი, რომელიც მკვეთრად განსხვავდება არა მხოლოდ განათლების კლასიკოსების მიერ აღწერილი „აღსაზრდელისგან“, არამედ მე-20 საუკუნის 1990-იანი წლების დროინდელი თანატოლისგანაც კი. ამავე დროს, ის არც უარესია და არც უკეთესი, ვიდრე მისი თანატოლი ოცი წლის წინ, ის უბრალოდ გახდა განსხვავებული – ინფორმაციული საზოგადოების წევრი, ციფრული თაობის წარმომადგენელი.

ყველაზე დიდი განსხვავება დღევანდელ მოზარდებსა და წარსულ თაობებს შორის არის ის, თუ როგორ აღიქვამს "ციფრული" თაობა, წინა თაობისგან განსხვავებით, რეალობას და ვირტუალურ სამყაროს. დღევანდელი ბავშვებისა და მოზარდებისთვის ვირტუალურსა და რეალურ სამყაროს შორის დაპირისპირება აბსოლუტურად შეუსაბამოა, რადგან მათთვის ეს ყველაფერი შერწყმულია და ერთიმეორის გაგრძელებაა. ძალიან ხშირად ჩვენ არ გვესმის მათი, რადგან ის, რაც ჩვენი აზრით "სისულელე და უაზრობაა", მათთვის ისეთივე სერიოზულია, როგორც ჩვენთვის რეალური ცხოვრებისეული პრობლემები. ეს უნდა გავითვალისწინოთ და ანგარიში გავუწიოთ იმ ფაქტს, რომ თანამედროვე თაობას აქვს სრულიად განსხვავებული, განსაკუთრებული ხედვა სამყაროზე, განსაკუთრებული საჭიროებები, რომლებიც პატივისცემას მოითხოვს.

Z თაობა არის ერთგვარი გარდამავალი თაობა მე-20 საუკუნიდან 21-ე საუკუნეში – ციფრული თაობა. რით განსხვავდება იგი წინა თაობებისგან?

- ✓ არიან მულტიმედიური ტექნოლოგიების, ციფრული გარემოს შვილები, ამიტომ თითქმის მთელ ინფორმაციას ინტერნეტიდან იღებენ, იციან მასთან იდეალურად მუშაობა და პერსონალურ კომუნიკაციას ვირტუალურ სივრცეში კომუნიკაციას ამჯობინებენ. ბავშვებსა და მოზარდებს უკეთ ესმით ტექნოლოგია, ვიდრე ადამიანის ემოციები და ქცევა;
- ✓ მოუთმენლები და ძირითადად მოკლევადიან მიზნებზე არიან კონცენტრირებულნი;
- ✓ მოხმარებაზე ორიენტირებული და ინდივიდუალისტები არიან;
- ✓ აფასებენ გულწრფელობას და პატიოსნებას;

✓ სწრაფად იზრდებიან, ინტერნეტში თვითგანათლებით არიან დაკავებული. გამოკითხვის მიხედვით, მათ 70%-ს მიაჩნია, რომ ბავშვობის ასაკიდან უკვე გამოსულია, ამასთან 61% აღნიშნავს, რომ მათ გარშემო ეს ყველას არ ესმის. ამ პრობლემის წინაშე დგანან მარკეტოლოგებიც – დაწყებითი სკოლის საფეხურის ბავშვებს არ სურთ იხვის ჭუკებით მოხატული მაისურების ტარება და თოჯინა ბარბით თამაში, რომლის გაყიდვა მთელი აღჭურვილობით – ტანსაცმლით, ავეჯით, ქმარი კენით სწრაფად ეცემა მთელ მსოფლიოში. ამავდროულად, წარმოუდგენლად პოპულარულია ვებსაიტი "ბარბის ვირტუალური სამყარო", რომელშიც ბავშვები თავად ქმნიან თოჯინის საკუთარ ვერსიას;

✓ სხვაგვარად არიან დაკავებული, კრეატიულობით: ქმნიან საიტებს, ფლეშფილმებს, ელექტრონულ პრეზენტაციებს, ონლაინთამაშებში მთელ სამყაროს: სახლებს, ავეჯს, ტანსაცმელს, იარაღს. ზოგი მთლიან თამაშს ქმნის და იღებს სოლიდურ შემოსავალს საკუთარი შემოქმედებისთვის;

✓ მათთვის დამახასიათებელია მრავალამოცანიანობაზე მუშაობის იდუმალი და განსაცვიფრებელი ფენომენი. ბავშვი, რომელიც კომპიუტერთან ზის, ერთდროულად საუბრობს ჩატში, ეძიებს მისთვის საინტერესოს ინტერნეტში, ჩამოტვირთავს მუსიკას, პერიოდულად სტუმრობს ტიკ-ტოკს, უსმენს მუსიკას პლეერიდან, ცდილობს საშინაო დავალების შესრულებას და ამავე დროს წვენს სვამს და სენდვიჩს მიირთმევს. თითქმის იგივე ხდება სკოლაში გაკვეთილებზე და უნივერსიტეტში ლექციებზე. ამან არ უნდა გაგვაღიზიანოს, ასეთია რეალობა: ცხოვრების სხვაგვარი წესი, სხვა ტემპი. ამერიკელი მეცნიერების აზრით, მრავალამოცანიანობა ტვინს აიძულებს სხვა რეჟიმში იმუშაოს – შესაბამისად, გონებრივი პროცესების სიჩქარე იზრდება;

✓ სხვანაირად სწავლობენ: მოტივირებულად აკეთებენ მხოლოდ იმას, რაც მათ აინტერესებთ და სულ უფრო და უფრო მეტად აიგნორირებენ იმას, რაც მათ არ სურთ;

✓ Z თაობის ბავშვებში მეხსიერება განსხვავებულად ფუნქციონირებს: უპირველესად ახსოვთ არა ინტერნეტში განთავსებული ინფორმაციის ზოგიერთი წყაროს შინაარსი, არამედ ის ადგილი, სადაც ეს ინფორმაციაა განთავსებული - უფრო ზუსტად კი მეთოდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ინფორმაციამდე მისვლა;

✓ ყურადღების კონცენტრაციის საშუალო ხანგრძლივობა 10–15 წლის წინანდელთან შედარებით ათმაგად შემცირდა. თუ ადრე ჯგუფში მოსწავლეს შეეძლო ყურადღების კონცენტრაცია 40 წუთის განმავლობაში, რაც ნორმად ითვლებოდა, ახლა მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ მსგავსი კონცენტრაცია;

✓ "ციფრულ აბორიგენებს", როგორც ამერიკელი პედაგოგი მარკ პრენსკი უწოდებს თანამედროვე მოზარდებს, ახასიათებთ "კლიპური აზროვნება", რომელიც გულისხმობს ინფორმაციის გადამუშავებას მოკლე პორციებით. ეს ადამიანები არ წაიკითხავენ დიდტანიან კლასიკურ ლიტერატურას, ისინი კითხულობენ კომიქსებს და ინტერნეტში არსებულ ტექსტებს, რომლებიც ერთ ეკრანზეა განთავსებული. მათი მხრიდან ინფორმაციის გადამუშავებაც ზუსტად ასე ხდება – უფრო სწრაფად, მაგრამ მცირე პორციებით;

✓ ჰიპერაქტიურები არიან. უჭირთ ერთ საკითხზე დიდხანს ყურადღების გამახვილება. ისინი ძალიან მოუსვენრები და, შესაბამისად, დათრგუ-

ნულნი არიან. ამიტომ, მოუსვენრობისა და მოუთმენლობის გამო, ხშირად აქვთ აკადემიური მოსწრების პრობლემა, თუმცა შეიძლება ნიჭიერები არიან საქმიანობის ზოგიერთ სფეროში. ინფორმაციის სიჭარბე, რომელიც ზვავივით ემხობა მოზარდს თავზე, სიცოცხლის პირველივე წლებიდან იწვევს ნერვული სისტემის ასაკობრივი განვითარების დარღვევას. ამიტომაა ეს თაობა უაღრესად აგზნებადი ხასიათის, მგრძნობიარე, მოუსვენარი და ნაკლებად მორჩილი. მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში მოზარდების ქცევის ეს მახასიათებლები ნაწილობრივ ნიველირდება, მომავალში გველოდება ყოფილი ჰიპერაქტიური ბავშვების საზოგადოება - ჰიპერაქტიური სოციუმი, რომელშიც ადამიანები გამორჩეული იქნებიან სიახლეებისადმი დიდი მოთხოვნილებით, შეგრძნებების ძიებით, ნაკლები შემგუებლობითა და შემწყნარებლობით, კონფლიქტისადმი გაზრდილი მიდრეკილებით.

Z თაობის შესახებ ზემოთქმულის შეჯამება შეიძლება მოვახდინოთ ამერიკელი ფსიქოლოგ შერი პოსტნიკ-გუდვინის მოსაზრებით: "ისინი ამჯობინებენ ტექსტურ კომუნიკაციას, ცოცხალ საუბარს, ურთიერთობენ ქსელში მეგობრებთან, რომლებიც არასდროს უნახავთ. იშვიათად არიან გარეთ ქუჩაში, თუ მშობლები არ აწყობენ მათ დასვენებას ასეთი ფორმით. მათ ვერ წარმოუდგენიათ ცხოვრება მობილური ტელეფონის გარეშე, არასოდეს უნახავთ ისეთი სამყარო, სადაც არ იყო ციფრული ტექნოლოგიები, კომპიუტერს ანიჭებენ უპირატესობას წიგნებთან შედარებით და ყველაფერში იმწუთიან შედეგებს ეძებენ. ისინი ეკონომიკური კრიზისის ეპოქაში იზრდებოდნენ და მათთან დაკავშირებით მხოლოდ ერთ რამის მოლოდინი აქვთ – იყვნენ წარმატებულები. მათი უმრავლესობა ძალიან სწრაფად ხდება ზრდასრული და საკუთარ თავს ბევრად უფროსად ხედავს."

„თაობათა თეორია" პირველად ამერიკელმა მეცნიერებმა უილიამ შტრაუსმა და ნილ ჰოუმ შექმნეს, რომლებმაც აღწერეს თაობათა განმეორებადი ციკლები, მათ შორის განსხვავება და ურთიერთდამოკიდებულება. იგი ფართოდ გახდა ცნობილი 1991 წელს წიგნის (თაობები, ამერიკის მომავლის ისტორია 1584-2069. [4]) გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც ასახავს აშშ-ის ისტორიას 1584 წლიდან, მაგრამ აღწერს ისტორიულ მოვლენებს არა ისტორიული მეცნიერებების კონტექსტში, არამედ ისტორიული მოვლენების გასაგებად და აღსაწერად იყენებს თაობათა განზოგადებულ, მაგრამ ინდივიდუალურ მახასიათებლებს. ზუსტად ამ ნაშრომის საფუძველზე, პირველად გახდა შესაძლებელი თაობათა კლასიფიცირება მდუმარე თაობად (1928-1945), ბეიბი ბუმერებად (1946-1964), თაობა იქსად (1965-1980), მილენიალებად (1981-1996), თაობა ზეტად (1997-2012 ზუმერებად) და თაობა ალფად (2010-2024). ისტორიკოსთა ნაშრომებში თაობები დაახლოებით 20 წლის განმავლობაში დაბადებული ადამიანების ერთობლიობაა, რომლებიც იზიარებენ ერთ ისტორიულ ეპოქას, საერთო შეხედულებებს, ქცევის ნიმუშებს და თავს თაობის ნაწილად გრძნობენ.

მიმდინარე ეტაპზე სტუდენტები Z თაობას მიეკუთვნებიან. ისინი დაიბადნენ გაჯეტების მასობრივ გავრცელებასა და იაფფასიან მაღალსიჩქარიან ინტერნეტთან ერთად, რამაც განსაზღვრა სამყაროზე მათი შეხედულებები. ამ თაობის შესახებ მოსაზრებები დროის მდინარებასთან ერთად ყალიბდება, მათთვის დამახასიათებელია ისეთი ზოგადი დადე-

ბითი თვისებები, როგორიცაა კრეატიულობა, კეთილსინდისიერება, მუდმივი სწავლის უნარი, აზროვნების სითამამე და სიცხადე, ფხიზელი იდეები ცხოვრების შესახებ და ცუდი ჩვევების არარსებობა. Z თაობის წარმომადგენლების სისუსტეებია მოტივაციის ნაკლებობა, სიზარმაცე, ერთ თემაზე კონცენტრირების უუნარობა, კითხვის ანტიპათია.

სხვადასხვა მონაცემით, Z თაობად ითვლებიან ისინი, ვინც ყველაზე ადრე დაიბადა 1995 წლის, ხოლო ყველაზე გვიან 2005 წლის შემდეგ. ეს განსხვავება დაკავშირებულია ტექნოლოგიების გავრცელების სხვადასხვა თარიღთან ცალკეულ ქვეყნებში. ასეა თუ ისე, თაობა Z დღეს სტუდენტების დიდი ნაწილია, რომლებიც არიან და იქნებიან მომავალი წლების სასწავლო პროცესის მთავარი გმირები, უმაღლესი განათლების მთავარი სუბიექტები მომდევნო წლებში.

როგორც ჯ. პალფრი და უ. გასერი აღნიშნავენ [5], Z თაობის წარმომადგენლები არ განასხვავებენ ცხოვრებას ქსელში და მის გარეთ, რადგან არ აღიქვამენ თავიანთ იდენტობას ციფრულ და რეალურ სივრცეში, როგორც რაღაც განცალკევებულს; მიიჩნევენ, რომ მათი იდენტობა წარმოდგენილია ერთდროულად რამდენიმე სივრცეში. ეს ნიშნავს, რომ ამ თაობის წარმომადგენლის პიროვნული სტატუსი და მნიშვნელობა ინტერნეტში – ბლოგერი, სტრიმერი – ისეთივე მნიშვნელოვანი, ღირებული და რეალურია, როგორც მისი ცხოვრება ოფლაინ.

ინტერნეტში სტატუსის არსებობა რეალურ ცხოვრებაში გავლენას ახდენს როგორც ნაცნობთა წრეზე, შემოსავალსა და დასაქმებაზე, ისე ცხოვრებისეულ სტატუსზე: ინტერნეტის მაღალი რანგის მომხმარებლები რეალურ ცხოვრებაში ცნობილი ხდებიან; შესაძლებლობა აქვთ გავლენა მოახდინონ სხვა ადამიანებზე. წიგნის „ვიკინომიკა“ ავტორ ჯ. ტაპსკოტის აზრით, ინტერნეტმა ჩამოაყალიბა ახალგაზრდების სოციალური იდენტიფიკაციის, თვითგამოხატვისა და ცხოვრების სტილის პრინციპულად ახალი გარემო, რომელიც ორმაგ ხასიათს ატარებს [6].

იგი მიიჩნევს, რომ Z თაობა არ არის მხოლოდ მასობრივი კულტურის მომხმარებელი. ისინი ატარებენ დროს ძიებაში, კითხვაში, კვლევაში, იდენტიფიცირებაში, თანამშრომლობასა და ორგანიზაციის პროცესში. ინტერნეტმა ჩვენი ცხოვრება გარდაქმნა მუდმივ მასობრივ თანამშრომლობაში, რაც ამ თაობას ძალიან მოსწონს.

მათ ვერც კი წარმოუდგენიათ ცხოვრება, როდესაც მოქალაქეებს არ აქვთ კრიტიკული აზროვნების, აზრების გაზიარების, დაზუსტების, იდენტიფიცირების ან სიცრუის გამოვლენის ინსტრუმენტები. თუკი მათი მშობლები ინფორმაციის პასიური მიმღები იყვნენ, ახალგაზრდები მედიაკონტენტის აქტიური შემქმნელები არიან და ინტერაქციებისადმი ლტოლვა აქვთ.

„თაობა და სწავლების სტილის“ ავტორი ჯ. კოატსი პედაგოგებს, რომლებიც მუშაობენ Z თაობასთან, შემდეგ რჩევებს სთავაზობს [7]:

- ✓ ახალგაზრდები საკუთარ თავს ეკითხებიან: "რატომ მინდა ეს?" და ამ თვალსაზრისით მათთვის განათლება უაზრობაა. მაგალითად, რატომ უნდა ვიცოდე კლასიკური ავტორის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები (მისი ბიოგრაფია, მისი ნაწარმოებები), თუკი ვიკიპედია არსებობს? რამდენიმე დაწკაპუნება და ინფორმაცია ეკრანზეა. იქნებ ახალგაზრდებს ავუხსნათ, რომ საქმე არა მხოლოდ თარიღების დამახსოვრებაშია, არამედ მეხსიერების

ვარჯიშშიც? რომ ავტორის ნაწარმოების გაცნობა, მისი ანალიზი და გადმოცემა წარმოსახვითი აზროვნების, ორატორული უნარების, ლოგიკური თხრობის უნარის, სალექსიკო მარაგის გაფართოების ვარჯიშია.

იქნებ თავად პედაგოგმა უნდა იფიქროს იმაზე, თუ რა დგას კლასიკური სწავლების მიღმა – მექანიკური დამახსოვრება, რასაც მივყავართ იმ ფაქტამდე, რომ სასწავლო დაწესებულების დასრულების შემდეგ ინფორმაციის ნახევარი სამუდამოდ იშლება ადამიანის თავიდან ან ინტერესი, რომელიც ადამიანს უბიძგებს დაბადებისა და გარდაცვალების თარიღების მიღმა დაინახოს ფართო სურათი – ეპოქა, მოვლენები, ადამიანი?

კოატსი დარწმუნებულია, რომ ადეკვატური კურიკულუმების შექმნა, რომელიც ფოკუსირებულია სტუდენტის უნარზე, ეფექტურად გაუმკლავდეს სამყაროს, 21-ე საუკუნეში წარმატების გასაღებია;

✓ თანამშრომლობა კონკურენციის ნაცვლად. Z თაობის წარმომადგენლებმა იციან და უყვართ თანამშრომლობა, მათთვის აშკარაა პროდუქტიული ურთიერთობის ღირებულება. ამიტომ ისინი ძალიან ყურადღებიანი არიან წახალისებისა და ჯილდოების მიმართ და აქ არის მათი „აქილევსის ქუსლი“ – მაღალი მოლოდინები სამყაროსგან, რომ ის მადლიერი იქნება მათი ნებისმიერი დაცემინებისთვის. შეაქეთ, მაგრამ ზედმეტად ნუ შეაქებთ. მიეცით მათ ძიების თავისუფლება, მაგრამ ნუ დატოვებთ შემთხვევის ამარა. ისინი სწრაფად კარგავენ ინტერესს, როცა რაღაც არ გამოსდით. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ Z თაობის წარმომადგენლები განსხვავდებიან წინა თაობის აზროვნებისგან, რომელიც დაფუძნებულია სრულიად განსხვავებულ კატეგორიებზე, მათი აზროვნების ფორმა გამოირჩევა ფრაგმენტულობით და ზოგჯერ ზედაპირულობითაც.

ცნობილია, რომ უმაღლეს განათლებაში ხდება ცვლილებები, რომელთა განვითარებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოები, არამედ დამოუკიდებლად მიმდინარე გლობალური პროცესები. Z თაობის ახალგაზრდები სტუდენტების ძირითადი მასაა, რაც აჩენს ლოგიკურ კითხვას: რამდენად მზადაა უნივერსიტეტები ამ თაობასთან თანამშრომლობისთვის?

მკვლევრები აღნიშნავენ ახალი თაობის აზროვნების შემდეგ პრობლემებს, თავისებურებებსა და მახასიათებლებს:

✓ ინტუიციურ დონეზე ურთიერთქმედებენ სხვადასხვა ციფრულ გაჯეტებთან და გარე სამყაროსთან კომუნიკაცია აქვთ ძირითადად მობილური ტელეფონის ეკრანებისა და კომპიუტერის დისპლეით;

✓ არიან მაღალი ტექნოლოგიებისა და გაჯეტების აქტიური მომხმარებლები;

✓ რეალურ სამყაროში უჭირთ მეგობრების შეძენა; ვირტუალური კომუნიკაცია სჭარბობს პირად კომუნიკაციას; სწრაფად შედიან ონლაინკონტაქტში, მაგრამ მათთვის რთულია ნამდვილი მეგობრული ურთიერთობის დამყარება;

✓ ვირტუალური კომუნიკაციის პროცესში ბავშვები წინა თაობისთვის დამახასიათებელ ჩვეულებრივ ტექსტს ვიზუალური ენით ანაცვლებენ; აქვთ ტექსტური შეტყობინებების ცუდი აღქმა და ვიზუალური გეიმიფიცირებული შეტყობინებების უპირატესობა; ისინი გაცილებით ჩვეული არიან, წაიკითხონ მოკლე ახალი ამბები, ვიდრე რომელიმე სტა-

ტია; მათი აზროვნების ფორმა გამოირჩევა ფრაგმენტული სტილით, ხოლო განსჯა – ზედაპირულობით (კლიპური აზროვნება);

- ✓ ცხოვრებაში ვიდეოთამაშებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ;
- ✓ ყოველდღიურად ისინი უამრავ ეკრანს უყურებენ, რის გამოც იზრდება მათი ინფორმაციის აღქმის სიჩქარე, თუმცა 8 წმ-ზე მეტ ხანს ვერ ახერხებენ ყურადღების გამახვილება ერთ საგანზე;
- ✓ არ ჰყავთ „გმირები“ და „ავტორიტეტები“, ჰყავთ მხოლოდ „კერპები“ (როგორც Y თაობას); მცირდება მშობლებისა და მასწავლებლების ავტორიტეტი ყოვლისმომცველი ინტერნეტის სასარგებლოდ, იზრდება ფსიქოლოგიური დისტანცია ახალგაზრდასა და ზრდასრულს შორის და ამავდროულად ზიანდება უფროსებიდან ბავშვებზე გამოცდილების გადაცემის პროცესი; Z თაობის ბავშვები თითქმის მთელ ინფორმაციას ინტერნეტიდან იღებენ, რაც ზრდის მათ თავდაჯერებულობას საკუთარ შეხედულებებში, რომლებიც ყოველთვის არ არის სწორი;
- ✓ „მრავალამოცანიანობა“ აიძულებს ტვინს სხვა რეჟიმში იმუშაოს, შესაბამისად იზრდება გონებრივი პროცესების და ინფორმაციის აღქმის სიჩქარე. არსებობს მეორე მხარეც - ტვინი მოწყენილია, როდესაც ინფორმაციის ნაკლებობაა, მაგალითად, ლექციების დროს. ამიტომ, პედაგოგებს ძალიან უჭირთ მოსწავლეების/სტუდენტების ყურადღების კონცენტრირება მათ დისციპლინაზე, რაც კონფლიქტს იწვევს.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ აბსოლუტურად განსხვავებულად აზროვნებენ, ვიდრე მათი მშობლები და პედაგოგები, ისინი განსხვავებულები არიან და ეს არის ცხოვრებისეული რეალობა, ამასთან ბრძოლა აზრს მოკლებულია. ეს თაობა, რა თქმა უნდა, მოითხოვს განსხვავებულ, ინოვაციურ მიდგომას, რაც მოითხოვს სწავლების ახალი პედაგოგიური ტექნიკის, ფორმებისა და მეთოდების ძიებას. ცხადია, აუცილებელია განათლების სისტემის გადახედვა ისე, რომ არ დათრგუნოს ახალგაზრდა თაობის ნება და მისწრაფებები, არამედ ხელი შეუწყოს მათ პიროვნულ განვითარებას, ნიჭისა და უნიკალურობის გამოვლენას.

ამ დროს უნივერსიტეტებისთვის მთავარი კითხვაა, როგორ იმოქმედებს Z თაობის თავისებურებები უმაღლესი განათლების სისტემაზე? საჭიროა გააზრებულ იქნეს უნივერსიტეტის ახალი თაობის სტუდენტებთან ურთიერთქმედების შინაარსი. ახალ თაობას სრულიად განსხვავებული მოლოდინები აქვს და მათ ძირითადი როლი უნდა შეასრულონ სასწავლო პროცესსა და სტუდენტებისთვის მიწოდებულ საგანმანათლებლო სერვისებში ცვლილებების შეტანაში. Z თაობის სტუდენტებთან წარმატებული მუშაობის საფუძველი ერთობლივი კრეატიული მოქმედებაა. მარტივად რომ ვთქვათ, აუცილებელია თავად სტუდენტების ჩართულობის გაზრდა.

უნივერსიტეტი მთლიანად უნდა იყოს სტუდენტის სმარტფონში. სტუდენტმა უნდა ისარგებლო სხვადასხვა აპლიკაციით უნივერსიტეტში დოკუმენტების წარდგენის მომენტიდან და სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თავად სტუდენტები უნდა იყვნენ აპლიკაციის შემუშავების პროცესის განუყოფელი ნაწილი და, შესაბამისად, შეეძლოთ მასში იპოვონ ყველა საჭირო ინფორმაცია – სასწავლო განრიგიდან

დაწყებული სხვადასხვა სოციალური ღონისძიებებით დამთავრებული.

ფუნდამენტური საგნების შინაარსი თითქმის არ იცვლება, მაგრამ მომავალი სტუდენტების ახალი თაობის თავისებურებების გათვალისწინებით, საჭიროა სწავლების მეთოდების ადაპტირება დროის მოთხოვნების შესაბამისად, მასალის მიწოდების ფორმატის შეცვლა, კომპიუტერული თამაშების ინდუსტრიის გეიმიფიკაციის ტექნოლოგიების გამოყენება.

საჭიროა "ციფრული თაობის" წარმომადგენლებთან კომუნიკაცია მათთვის გასაგებ ენაზე, ინტერაქტიული მეთოდების, IT ტექნოლოგიების გამოყენებით. ასევე საჭიროა პოტენციურ აბიტურიენტებთან პროფორიენტაციული მუშაობის ფორმების გადახედვა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მართვის სისტემის სრულყოფა.

სწავლების რა მეთოდებია საინტერესო „ციფრული აბორიგენებისთვის“?

✓ **სურათები - ახალი ტექსტი**

Z თაობა მიჩვეულია მემებისა (მემეტიკა — თეორია გონების მომცველი ელემენტებისა და კულტურის შესახებ) და ემოჯების გამოყენებას. ამიტომაც აზრიანია, რომ სწავლების პროცესში ჩავრთოთ ბლოკები, სადაც ინფორმაცია გრაფიკულად არის წარმოდგენილი. მაგალითად, თინეიჯერებს უჭირთ ყურადღების გამახვილება მთლიანად ტექსტურ გვერდებზე, ამიტომ ტექსტი შეიძლება ინფოგრაფიკით ან ტექსტის მნიშვნელობასთან შესაბამისობის მქონე ნათელი სურათებით გაზავდეს; ხანგრძლივი ლექცია შეიძლება გაჯერდეს სასწავლო ან საილუსტრაციო ვიდეოებით.

✓ **ადაპტაცია სწრაფად ცვალებად სამყაროსთან**

Z თაობა იძულებული იქნება მუდმივად და ძალიან სწრაფად ისწავლოს და გადაერთოს საქმიანობის მონათესავე სფეროებს შორის. პედაგოგებმა უნდა წაახალისონ სიყვარული და სტუდენტებში განავითარონ „საინჟინრო“ აზროვნება, რათა შეძლონ ადაპტირება ახალ პროფესიებსა და ინდუსტრიებთან. უკვე ახლაა შესაძლებელი უნარების სწავლება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტის სწრაფად ცვალებად სამყაროში ნავიგაციას. მაგალითად, თემების შესწავლა არა მხოლოდ სახელმძღვანელოებიდან, არამედ ვიდეოების, პოდკასტებისა და წერილობითი წყაროებიდან, ინფორმაციის სინთეზირების საფუძველზე. ახალი კინესთეტიკური უნარები (კინესთეტიკა არის ადამიანის უნარი, აღიქვას სამყარო ფიზიკური შეგრძნებების მეშვეობით ანუ მოძრაობისა და შეხების მეშვეობით. ეს არის ერთ-ერთი სამი ძირითადი არხი ინფორმაციის მიღების, მხედველობისა და სმენის არხებთან ერთად. ადამიანები, რომლებსაც აქვთ განვითარებული კინესთეტიკური აღქმა, ხშირად უკეთესად სწავლობენ და იმახსოვრებენ ახალ ინფორმაციას სხეულის მოძრაობით ან შეგრძნებებით) შესანიშნავი მიზეზია, რომ სტუდენტმა იამაყოს საკუთარი თავით ნებისმიერ სიტუაციაში, ის ავითარებს კრეატიულობას და მუშაობისა და განვითარების მეტ შანსს იძლევა. რეალურ მასალებთან მუშაობა იწვევს ობიექტური რეალობის უკეთ გააზრებას და ახალგაზრდას ასწავლის შრომისა და უნარების დაფასებას.

✓ **წახალისება მიღწეული წარმატებისთვის**

Z თაობის სტუდენტები მიჩვეული არიან მუდმივ სტიმულაციას და ერთდროულად რამდენიმე ამოცანის შესრულებას. ხანგრძლივი, ერთფეროვანი

ლექციები მათთვის მძიმე ტვირთია. ასეთ შემთხვევაში დიდია იმის ალბათობა, რომ სტუდენტი ჩაეფლოს გაჯეტში, იკონტაქტოს მეგობრებთან ან გაერთოს ფიქრებში. ასეთ შემთხვევაში მათი ყურადღება შეიძლება მიიქციოს სწავლების ფორმებისა და მეთოდების რიგითობამ. Z თაობის სტუდენტები უნდა იყვნენ დატვირთულები, გონება რომ არ გაეფანტოთ.

✓ **თამაშები, რომლებსაც მხოლოდ ბავშვები არ თამაშობენ**

თამაშების ინდუსტრიამ დაამტკიცა, რომ ის არ არის მხოლოდ დასვენებისა და გართობის საშუალება, არამედ ტაქტიკური და სტრატეგიული აზროვნების სწავლების საშუალებაცაა. თამაშები დიდი ხანია გამოიყენება სწავლებაში, განსაკუთრებით ბიზნესგანათლებაში. თამაშები ყველაზე ნათელი გზაა ყურადღების მიპყრობისა და მოტივაციის უზრუნველსაყოფად Z თაობისთვის, რომლებიც მიჩვეული არიან წახალისებებსა და ჯილდოებს, ნებისმიერი თამაშის განუყოფელ ნაწილს. გეიმიფიკაცია (Gamification) მიდგომაა სასწავლო პროცესისადმი, სადაც ხდება თამაშის მიმზიდველი ელემენტების გადმოტანა და გამოყენება რეალურ საგანმანათლებლო სივრცეში. ამიტომ, გეიმიფიკაციას სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ტექნოლოგიაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის აგებისას. გეიმიფიკაცია, ალბათ, ერთადერთი გზაა Z თაობის ყურადღების მოსაპოვებლად.

✓ **ვირტუალური სივრცის ორგანიზება**

Z თაობის წარმომადგენლები მიჩვეულები არიან ტექსტურ კომუნიკაციას, რომელიც წამის მეასედში ხდება, ელექტრონული ფოსტაც კი მათთვის წარსულის გადმონაშთია. თანამედროვე პედაგოგმა უნდა იფიქროს იმაზე, თუ როგორ გახდეს უფრო ხელმისაწვდომი საინფორმაციო სივრცეში. ზოგი ქმნის ჯგუფურ ჩეთებს სოციალურ ქსელებსა და მყის მესინჯერებში, რათა შეიქმნას გარემო, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ ერთმანეთს დაეხმარონ, ხოლო პედაგოგი თავად პასუხობს კითხვებს, შეძლებისდაგვარად ნებისმიერ დროს. უნივერსიტეტებში პროფესორები ჩვეულებრივ ცვლიან პერსონალურ კონსულტაციებს ონლაინსივრცეში საუბრებით, რათა დაზოგონ დრო და სტუდენტებს დაუკავშირდნენ ციფრული თაობისთვის უფრო ნაცნობი გზით. შესაძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიების ისეთი ელემენტების გამოყენება, რომლებიც „ციფრული თაობის“ განვითარებაში ხელს შეუწყობს უარყოფითი ტენდენციების დაძლევას: სწავლის კოლექტიური მეთოდის ტექნოლოგია, განვითარებადი სწავლების ტექნოლოგია, საპროექტო სწავლების ტექნოლოგია, პრობლემური სწავლების ტექნოლოგია, ინტერაქტიური სწავლების ტექნოლოგია. ყველა ეს ტექნოლოგია ახალ თაობას ეხმარება კრიტიკულ აზროვნებაში, „ინფორმაციული ჰიგიენის“ ფორმირებაში და კრეატიულ აზროვნებას უძლიერებს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, არ არის აუცილებელი არსებული საგანმანათლებლო პროცესის თავდაყირა დაყენება ციფრული აბორიგენების, Z თაობის მოსაწონებლად. განათლება კვლავინდებურად მიზნად ისახავს ლოგიკური და სტრუქტურიზებული გზით სტუდენტებისთვის ცოდნის მიწოდებას. მაგრამ უნივერსიტეტში საგნების სწავლების ტრადიციულად ძლიერი მეთოდები არ დაზარალდება ისეთი პრაქტიკის მეზობლობით, რომელიც სწავლებას საინტერესოს და მოტივირებულს გახდის.

მით უმეტეს, სწავლებისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პროცესი, არამედ მისი საბოლოო შედეგიც.

Z თაობა, რეალურ სამყაროში არსებული საფრთხეების გააზრების ფონზე, ვირტუალურ სამყაროს უფრო ახლოდ და უსაფრთხოდ მიიჩნევს. „ციფრული აბორიგენები“ ვირტუალურ სამყაროს თითქმის ყველაფრის წყაროდ ხედავენ: ინფორმაციის, შემოსავლის, გართობის, სხვადასხვა საგანმანათლებლო, პროფესიული, ყოველდღიური და პირადი პრობლემების გადაწყვეტის და ა.შ.

დღეის მონაცემებით, მკვლევარებმა Z თაობის ოთხი ძირითადი მახასიათებელი გამოავლინეს:

✓ **მრავალამოცანიანობა –** ერთდროულად რეალურ და ვირტუალურ რეალობაში მოქმედების უნარი, ამასთან ვირტუალური რეალობა შეიძლება იყოს ერთდროულად რამდენიმე პლატფორმაზე, რაც ინფორმაციის აქტუალურ ნაკადში დარჩენის და სამყაროს არასტაბილურობის პირობებში საკუთარი ცხოვრების კონტროლის შეგრძნების საშუალებას იძლევა.

✓ **კლიპური აზროვნება** – ინფორმაციის შეკუმშული, მოკლე ფრაგმენტების სახით აღქმის ჩვევა. ასეთ ადამიანებს ძალიან უჭირთ დიდი ტექსტების წაკითხვა ან მათზე მუშაობა, განსაკუთრებით წიგნების, ხანგრძლივი ვიდეოებისა და ფილმების ყურება. ამავდროულად, შეკუმშული სახით ინფორმაციის დამუშავება თავისთავად სწრაფად ხდება, მაგრამ არაღრმად, ინფორმაციის მომხმარებელი დარწმუნებულია, რომ საჭიროების შემთხვევაში შეუძლია დაუბრუნდეს წაკითხულს/ნანახს და მოძებნოს გამოტოვებული დეტალები, რაც ხშირ შემთხვევაში არ ხდება, რადგან უწყვეტად და მუდმივად მოედინება ახალი ინფორმაცია (სტუდენტების თანამედროვე თაობა თვეში საშუალოდ 3000-მდე შეტყობინებას იღებს).

✓ **მკაფიო და ხარისხიანი შედეგის მიღწევის სურვილი,** ანაზღაურებისა და სარგებელის მიღების პირობით (შენიშნეს, რომ ამ თაობის უფროსი წარმომადგენლები, რომლებიც უკვე გამოჩნდნენ შრომის ბაზარზე, ამ თვისებებს აჩვენებენ თავიანთ შრომით საქმიანობაში).

✓ **იდეების განვითარებისა და საკუთარი აზრის /გამოცდილების გავრცელების სურვილი,** TikTok და მსგავსი პლატფორმების განვითარება, სხვადასხვა ბლოგი, ონლაინკონსულტაციები და ა.შ.

ზემოაღნიშნულის შეჯამებით აუცილებელია შემდეგი დასკვნის გამოტანა: Z თაობა ემოციურად უფრო ნელა მწიფდება, მაგრამ აქტიურია ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების სფეროში, რომელიც მიზნად ისახავს შედეგების პირდაპირ და სწრაფად მიღებას.

გთავაზობთ შესაბამისობის ცხრილს Z თაობის მახასიათებლების, მკვლევრებისა და უცხოელი მეცნიერების თანამედროვე რეკომენდაციებს შორის. ცხრილის მარცხენა მხარეს არის Z თაობის მახასიათებლები, ხოლო ცხრილის მარჯვენა მხარეს – თეზისები, რომელსაც პროფესორმა ყურადღება უნდა მიაქციოს სწავლების პროცესში.

Z თაობის მახასიათებელი	რეკომენდაცია სასწავლო პროცესის ორგანიზაციისთვის
მრავალამოცანიანობა	ინფორმაციის რამდენიმე წყაროზე მუშაობა (ქსელი, სტაციონარული ლეპტოპი, ინტერაქტიული დაფა). ინფორმაციასთან მუშაობისას, რომელსაც სტუდენტები მიიღებენ ქსელიდან, აუცილებელია დადგინდეს მოხმარებული ინფორმაციის შეფასების კრიტერიუმები და მისი საკუთარ ნამუშევარში გამოყენების შესაძლებლობები: „ეს შეიძლება იყოს ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა წყაროების რაოდენობა, მათი ციტირება სხვა საიტების მიერ, საიტის სერიოზულობა/პროფესიონალიზმი და ა.შ.
კლიპური აზროვნება	1. სწრაფი მუშაობის ტემპი; ახალგაზრდა თაობა საშუალოდ აქცენტს აკეთებს ობიექტზე არაუმეტეს რვა წამისა საქმიანობის სახეობების შეცვლა ყოველ 15-20 წუთში; 2.მაქსიმალური ვიზუალიზაცია და მასალის სტრუქტურირება; 3. სასწავლო სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის უნდა იყოს მცირე ზომის, მრავალფეროვანი, ვიზუალურად ადვილად აღსაქმელი და საჭირო ინფორმაციის მოძიებისთვის მოსახერხებელი, უნდა შეიცავდეს მოკლე და გრაფიკულ ტექსტებს, სათამაშო დავალებებს და სავარჯიშოებს ყველა სახის საქმიანობისთვის
მკაფიო და სწრაფი შედეგის მიღების სურვილი	1. დავალებების მკაფიო ფორმულირება. ახალი მასალის წარდგენის დროს აუცილებელია მკაფიოდ აღინიშნოს სასწავლო მასალის რომელი ნაწილი უნდა დაიმახსოვროს, რომელი არ არის აუცილებელი; 2. შუალედური შედეგების შეჯამება და სტუდენტის მიერ მიღწეული პრაქტიკული შედეგების დაკონკრეტება. ა. საპა წერს, რომ "ამ თაობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული სასწავლო ეტაპის შეჯამება და დაუყოვნებლივ დავალებების დასახვა შემდეგი ეტაპისთვის". <...> თქვენი მოთხოვნები უნდა იყოს მკაფიო და ინფორმაცია, რომელსაც აუდიტორიას აწვდით, ზუსტი. სტუდენტებს დაუსახეთ თვალსაჩინო და რეალური მიზნები; 3. მასალის მრავალჯერადი გამეორების გამორიცხვა, რადგან გამეორების ეტაპები შეგნებულად იქნება იგნორირებული სტუდენტების მიერ
იდეების განვითარებისა და საკუთარი აზრის/გამოცდილების გავრცელების სურვილი	1. ყურადღება თითოეული სტუდენტის მიმართ - პროცესში მონაწილეებთან დიალოგის სურვილი; 2. გემიფიკაცია, TED პლატფორმები, სოციალური ქსელები, ბლოგინგი

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია შევადგინოთ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელოვანი პრინციპების ჩამონათვალი Z თაობის სტუდენტებისთვის:

- ✓ სტუდენტებთან სწრაფი უკუკავშირის ორგანიზება;
- ✓ მყისი წახალისების სისტემის გამოყენება;
- ✓ კონტექსტური მიდგომის გამოყენება, ე.ი. სტუდენტისთვის პროფესიულად მნიშვნელოვანი შესაბამისი პრაქტიკული თემების შერჩევა;
- ✓ მარტივი, ინტუიციურად გასაგები და მოტივაციური დიზაინის გამოყენება სასწავლო მასალის გაფორმების დროს;
- ✓ სტუდენტისთვის მეთოდოლოგიური დახმარების ორგანიზება „ყოველთვის ხელმისაწვდომობის“ პრინციპის ონლაინ გამოყენებით;
- ✓ საგანმანათლებლო მასალების ფუნქციონალის უწყვეტი განვითარება სასწავლო დისციპლინის შინაარსის დაუფლების პროცესში.

საგანმანათლებლო მომსახურების კონკურენტულ ბაზარზე სპეციალისტთა მომზადების ხარისხი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კონკურენტუნარიანობის მთავარი მაჩვენებელი ხდება. სასწავლო პროცესის ხარისხზე გავლენის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის პროფესიული კომპეტენციის დონეა.

მოძრაობის ტენდენცია ტერმინ „ცოდნიდან“ ტერმინ „კომპეტენტურობისკენ“ მსოფლიო მასშტაბის ტენდენციაა. იგი გამოიხატება იმაში, რომ თანამედროვე ეტაპზე შემეცნებითი საფუძვლების გაძლიერება არ შემოიფარგლება ტრადიციული ცნებებით „ცოდნა“, „ჩვევა“ და „უნარი“. უფრო ადეკვატური ხდება ცნება „კომპეტენტურობა“. თანამედროვე სპეციალისტისთვის მნიშვნელოვანია არა ცოდნა, არამედ მისი გამოყენების უნარი კონკრეტული სიტუაციებისა და პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც პროფესიულ საქმიანობასა და ცხოვრებაში წარმოიქმნება. ასეთი მიდგომის პირობებში ცოდნა ხდება სპეციალისტის კომპეტენციის შემეცნებითი ბაზა.

რა არის კომპეტენტურობა? კომპეტენტურობა არის ინდივიდის თვისებების (მახასიათებლების) ერთობლიობა, რომელიც საშუალებას აძლევს მას ხარისხობრივად შეასრულოს გარკვეული საქმიანობა და მიზნად ისახავს პრობლემების (დავალებების) გადაჭრას ნებისმიერ დარგში. „კომპეტენტურობის“ ცნების გარდა, არსებობს მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნება „კომპეტენცია“ (მეცნიერულ ლიტერატურაში ისინი ხშირად სინონიმებად გამოიყენება).

კომპეტენცია არის ის, რაზეც ადამიანი აცხადებს პრეტენზიას, ეს არის საკითხების წრე, რომელშიც ის კარგადაა ინფორმირებული, აქვს ცოდნა და გამოცდილება. კომპეტენცია ადამიანის სოციალური როლის პარამეტრია. თუ ადამიანი შეესაბამება ამ ადგილს (სოციალურ როლს), მაშინ ითვლება, რომ მას აქვს კომპეტენცია ამ სფეროში. კომპეტენტურობა არის ის, რასაც კონკრეტულმა ადამიანმა მიაღწია; იგი ახასიათებს კომპეტენციის დაუფლების საზომს და განისაზღვრება დადგენილი ამოცანების გადაჭრის უნარით. პედაგოგის პროფესიული კომპეტენცია არის ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების სისტემა, რომელიც აკადემიური

პერსონალის, როგორც პედაგოგისა და მეცნიერის, პროფესიული საქმიანობის საფუძველი.

საგანმანათლებლო პროცესისადმი კომპეტენციებზე დაფუძნებული მიდგომით, გარდა პროფესიული კომპეტენციისა, როგორც წესი, გამოყოფენ სპეციალისტის საკვანძო (საბაზო) კომპეტენციებს და მის პიროვნულ თვისებებს.

ტერმინი „საკვანძო კომპეტენტურობა“ მიუთითებს იმაზე, რომ ის არის „გასაღები“, საფუძველი სხვა, უფრო კონკრეტული საგნობრივად ორიენტირებული (პროფესიული) კომპეტენციებისთვის. ამჟამად არ არსებობს საერთოდ მიღებული მიდგომა მათი ტიპოლოგიისადმი. მიიჩნევა, რომ საკვანძო კომპეტენციები ატარებს ზეპროფესიულ ხასიათს და აუცილებელია ნებისმიერი საქმიანობის სფეროში.

პროფესიის მიუხედავად, პედაგოგს უნდა ჰქონდეს მზადყოფნა შემდეგი სახის საქმიანობის შესრულებისთვის: შემეცნებითი, კომუნიკაციური, მმართველობითი, ღირებულებებისა და აზრის შემცველი, სამოქალაქო-საზოგადოებრივი, ინფორმაციული, სამეცნიერო-კვლევითი, კულტურულ-გასართობი. შესაბამისად, ნებისმიერი სპეციალისტის, მათ შორის პედაგოგის ძირითად კომპეტენციათა ჩამონათვალში მიზანშეწონილია შემდეგი კომპეტენციების შეტანა:

- ✓ კოგნიტური ან შემეცნებითი;
- ✓ კომუნიკაციური;
- ✓ მმართველობითი ან სოციალურ-ორგანიზაციული ;
- ✓ ღირებულებითი ;
- ✓ კომპეტენცია სამოქალაქო- საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროში;
- ✓ ინფორმაციულ-კომპიუტერული;
- ✓ კრეატიული;
- ✓ კომპეტენცია კულტურულ-გასართობი საქმიანობის სფეროში.

პედაგოგიური საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელშიც ხორციელება კოლეგებთან სასწავლო თანამშრომლობა, სტუდენტებთან ურთიერთობა და ურთიერთქმედების სხვა ფორმები, ასევე პედაგოგიური საქმიანობის შეთავსება სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებთან, ზოგიერთი საკვანძო კომპეტენცია, ჩვენი აზრით, ხდება მისი პროფესიული კომპეტენციის ელემენტები. ამის საფუძველზე, პედაგოგის პროფესიული კომპეტენციის სტრუქტურაში უნდა გამოვყოთ:

- ✓ სპეციალური ცოდნა და ჩვევები სასწავლო დისციპლინის სფეროში;
- ✓ ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური კომპეტენცია;
- ✓ კომუნიკაციური კომპეტენცია;
- ✓ სოციალურ-ორგანიზაციული (მართვის) კომპეტენცია;
- ✓ კრეატიული კომპეტენცია.

ნებისმიერი ადამიანის, მათ შორის მასწავლებლის პიროვნებისა და საქმიანობის სტრუქტურაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი მოტივებს უჭირავს. სპეციალური ცოდნა და ჩვევები სასწავლო დისციპლინების სფეროში, როგორც წესი, კარგ დონეზეა. რაც შეეხება უნივერსიტეტის მასწავლებლების ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ კვალიფიკაციას, ისინი ხშირად საჭიროებენ გაუმჯობესებასა და სრულყოფას.

ჩვენ ვთავაზობთ, უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებს სტუდენტებთან სასწავლო-აღმზრდე-

ლობით პროცესში ყურადღება გაამახვილონ შემდეგ რეკომენდაციებზე:

✓ საჭიროა ფსიქოლოგიური მხარდაჭერა (როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური, სტუდენტებთან მუშაობის ტრენინგული ფორმების გაძლიერება);

✓ აუცილებელია, რომ სტუდენტებს ვასწავლოთ თვითრეგულირების, თვითორგანიზაციის, საკუთარი დროისა და რესურსების მართვის უნარები;

✓ კრიტიკული აზროვნების განვითარების პროცესში პედაგოგიური ტექნოლოგიების ჩართვა, სწავლებაში შეჯიბრის ელემენტების დანერგვა;

✓ სასწავლო პროცესში ინტერაქტიული მეთოდების ფართოდ გამოყენება – დისკუსია, გონებრივი შტურმი, კეის მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული ლექციები (შესაძლოა ონლაინდისკუსიები ინტერნეტის საშუალებით);

✓ დავალებები ისე უნდა ჩამოვაყალიბოთ, რომ სტუდენტმა თავად შეძლოს ქვემიზნების, ამოცანების განსაზღვრა და მათი განხორციელების დაგეგმვა.

უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში დღეს განხორციელებული რეფორმების პირობებში, დინამიკურად ცვალებადი სოციალური გარემოს მოთხოვნების საპასუხოდ, საგრძნობლად იზრდება სასწავლო პროცესის ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მხარდაჭერის როლი. განსაკუთრებით აქტუალური ხდება სტუდენტის სწავლისა და განვითარების ფსიქოლოგიურად დაფუძნებული მენეჯმენტის განვითარება, უმაღლესი პროფესიული განათლების პრობლემების გადაჭრისას.

დასკვნა

თემისადმი პირველივე მიახლოებასაც კი მივყავართ კითხვების მთელ სერიამდე: რამდენად სანდოა ზემოთ მოყვანილი დასკვნები Z თაობის შესახებ? რამდენად გავრცელებულია ეს მახასიათებლები თაობის წარმომადგენლებს შორის? ახალი ტერმინებით აღწერილი ეს მახასიათებლები ახალგაზრდობის „მარადიული თვისებები“ ხომ არ არის?

შესაძლოა, ეს არის ამ თაობის ძირითადი ნაწილის ტიპური თვისებები; თაობის ზოგიერთი ნაწილის (არა უმრავლესობის) თვისებები; უბრალოდ ექსპერტების ან/და მედიის მიერ შექმნილი თაობის იმიჯი; სხვა თაობების მიერ ჩამოყალიბებული Z თაობის იმიჯი; ადრეული მოზარდობის „კლასიკური“ მახასიათებლები. ამ ვერსიების ტესტირება მომავალი კვლევების საკვანძო ამოცანაა.

Z თაობის ფენომენისა და კონცეფციის შესწავლის ხარისხის განსაზღვრამ დაგვარწმუნა მომავალი კვლევებისთვის შემდეგი ამოცანების დაყენების შესაბამისობაში:

✓ სტუდენტებისა და საშუალო სკოლის მოსწავლეების ძირითადი მახასიათებლების იდენტიფიცირება, რომლებიც დაკავშირებულია Z თაობის (ძირითადად ფსიქოლოგიური) მახასიათებლებთან;

✓ მოსაძებნია ექსპერიმენტულად დადასტურებული არგუმენტები Z თაობის ძირითადი მახასიათებლების გარკვეული ინტერპრეტაციების მხარდასაჭერად;

Z თაობასთან წარმატებით ურთიერთობისთვის საჭიროა არა მხოლოდ მათი მახასიათებლების გათვალისწინება, არამედ აუცილებელია შეცვალოთ

თავად ურთიერთობების პრინციპები. ინტერნეტმა ახალგაზრდები უფროსებისგან თითქმის დამოუკიდებლებად აქცია მათთვის საინტერესო ინფორმაციისა და ცოდნის მოპოვების პროცესში. საგანმანათლებლო გარემო უფრო მეტი უნდა გახდეს, ვიდრე უბრალოდ ინტერაქტიული – ის სტუდენტისთვის მიმზიდველი უნდა იყოს. წიგნში „მომავლის ფიზიკა“ მ. კაკუ, მომავლის განათლების შესახებ საუბრისას, აქცენტს აკეთებს განათლების პრინციპების გლობალურ ცვლილებებზე. მეცნიერის თქმით, სწავლა დამახსოვრებაზე აღარ იქნება დაფუძნებული და სტუდენტებმა თვითგანათლებაზე უნდა იზრუნონ, რადგან მათ ზუსტად ეცოდინებათ თუ რა ცოდნა სჭირდებათ. სწავლება მორგებული იქნება კონკრეტულ პიროვნებაზე, მიუხედავად იმისა ვინ არის ის, რამდენი წლისაა – ექვსის თუ სამოცის. ამ ტიპის პროექტები უკვე ბევრია და წარმატებით ხორციელდება [8].

შეიძლება დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტის პედაგოგის ქმედებები უნდა გადაიხედოს. თანამედროვე პედაგოგი უნდა გახდეს სტუდენტური თაობის / Z თაობის სოციალური ცხოვრების დელიკატური მკვლევარი, რომელსაც შეუძლია დაინახოს ტიპური ინდივიდუალურში და ინდივიდუალური ტიპურში. პედაგოგებისთვის პრაქტიკული „ინსტრუქციების“ შესახებ საუბარი, რომელიც თაობების თეორიის საფუძველზეა შედგენილი, ჯერჯერობით ნაადრევია.

ლიტერატურა

1. Khudyakova, L. (2015). fathers and sons: the problem of generations. international scientific journal "innovative science"№10/2015. 232-234. https://cyberleninka.ru/article/n/ottsy-i-deti-problema-pokoleniy
2. Lyashchenko, S., Petrenko Yu. (2020). to the question of using the theory of generations of w. strauss and n. howe in constructing the educational process at the university. Journal "Scientific Reflection", № 4(22), 33-34. https://www.elibrary.ru/download/elibrary_44624005_89311349.pdf
3. Kovin, E. (2019). modern theory of generations in the sphere of education. Journal "Scientific Reflection", № 12(30), 165-167. https://www.elibrary.ru/download/elibrary_41489734_50995156.pdf
4. Howe, N., Strauss, W. (1991). Generations: The History of America's Future, 1584 to 2069. NewYork: William Morrow & Company.
5. Palfrey, J., Gasser, U. (2008). Born Digital: Understanding the First Generation of Digital Natives. A Member of the Perseus Perseus Books Group.
6. Tapscott, D., Williams, & Anthony D. (2010). Wikinomics: How Mass Collaboration Changes Everything. Penguin Publishing Group.
7. Coates, J. (2006). Generational Learning Styles, LERN Books.
8. 8. Lynn, L., Sitkins, P. (2014). Personal Brand: Take Care of Your Reputation Before Others Do. Translated from English by E. Nikitina. Moscow: Azbuka Business.4brain. 2015. теория-поколений-xyz. Retrieved from: https://4brain.ru/blog/теория-поколений-xyz/.

9. European Commission (2016). New skills development program for Europe: working together to strengthen human capital, employability and competitiveness [Electronic resource] // Accessmode: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri= CELEX:52016DC0381.
10. Schwab K. (2016). The fourth industrial revolution. M.: Eksmo.
11. Kaku, M. (2012). Physics of the Future. Translated from English by N. Lisova. Moscow: Alpina non-fiction.

UDC 338.1
SCOPUS CODE 1401
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-1-52-68

Theory of Generations, as an Instrument and Specifications of Gen Z Learnings at University

Merab Mikelashvili Department of business administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: m.mikelashvili@gtu.ge

Reviewers:
L. Kochlamazashvili, Professor, Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: l.kochlamazashvili@gtu.ge
N. Chikviladze, Associate Professor, Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: n.chikviladze@gtu.ge

Abstract. The current students generation is different from previous generations - they have more tools, more access to the data in a form of the internet. The impact of the global network works on everyone and everything, and of course it affects the education system. The teaching should involve the psychological laws of students' cognitive behaviour. Research conducted by Hawaii University shows that the adjustments of the methods is vital, for them to be in line with the educational levels of the new generations, especially Gen Z - based on their values and learning style. Teaching methods should be relevant to the new generation, if the universities prioritize quality educational approaches. Gen Z is a specific generation, with their distinct values, goals and visions. By learning their habits, it might become easier to adjust traditional educational methods and make them more effective. This analysis can play a vital role in creating a new, more effective and better educational approaches.

Keywords: clip thinking; digital skills and competences; digital generation; educational process theory of generations, gen Z; gen Z thinking specifications.

განხილვის თარიღი 12.09.2024
შემოსვლის თარიღი 21.11.2024
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.03.2025